თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 30/12/2011 №61 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 17/01/2012 №1; 31/01/2012 №2; 17/02/2012 №7; 30/03/2012 №15; 20/04/2012 №21; 03/05/2012 №22; 21/05/2012 №27; 28/06/2012 №36; 16/07/2012 №40; 27/07/2012 №42; 25/10/2012 №52; 18/12/2012 №54 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 163,240.1 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 165,104.8 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 193,458.1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 184,238.7 ათასი ლარი. ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებზე გათვალისწინებული თანხები, რომელთა დაფინანსება 2012 წელს არ განხორციელდა, დატოვებული იქნა ქ. ბათუმის საბიუჯეტო ანგარიშზე და გათვალისწინებული იქნა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

2012 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის, კომუნალური მეურნეობისა და სხვადასხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად ძირითად პრიორიტეტს ასევე სამეწარმეო სექტორის გააქტიურება, ინვესტიციების ხელშეწყობა, საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები - 3,047.5 ათასი ლარი;

- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 51,008.9 ათასი ლარი;

- ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა - 32,878.4 ათასი ლარი;

- საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 6,721.8 ათასი ლარი;

- განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები - 16,464.0 ათასი ლარი;

- განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა მხარდაჭერის პროექტების განხორციელების ხელშეწყობის პროგრამები - 3,485.8 ათასი ლარი;

- თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები – 8,601.3 ათასი ლარი;

- ქალაქის ეკონომიკური განვითარების პროგრამები - 8,424.2 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების დაფინანსება, სესხების მომსახურება, საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა, განათლების, კულტურის, სპორტის, დასვენების დაწესებულებების და სხვადასხვა უწყებებისა და ღონისძიებების დაფინანსება.

ქ. ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	**149,440.1**	**151,423.9**	**101.3%**
გადასახადები	12,350.0	12,619.0	102.2%
გრანტები	116,851.6	116,363.9	99.6%
სხვა შემოსავლები	20,238.5	22,441.0	110.9%
ხარჯები	**78,497.5**	**75,449.2**	**96.1%**
შრომის ანაზღაურება	7,323.0	7,322.7	100.0%
საქონელი და მომსახურება	18,704.2	17,852.2	95.4%
პროცენტი	2,368.2	2,202.4	93.0%
სუბსიდიები	16,595.4	16,444.0	99.1%
სოციალური უზრუნველყოფა	4,792.0	4,477.8	93.4%
სხვა ხარჯები	28,714.7	27,150.1	94.6%
საოპერაციო სალდო	**70,942.6**	**75,974.7**	**107.1%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**99,633.5**	**93,590.3**	**93.9%**
ზრდა	113,433.5	107,271.2	94.6%
კლება	13,800.0	13,680.9	99.1%
მთლიანი სალდო	**-28,690.9**	**-17,615.6**	**61.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-30,218.0**	**-19,133.9**	63.3%
ზრდა		38.3	-
ვალუტა და დეპოზიტები		38.3	-
კლება	30,218.0	19,172.2	63.4%
ვალუტა და დეპოზიტები	30,218.0	19,172.2	63.4%
ვალდებულებების ცვლილება	**-1,527.1**	**-1,518.3**	**99.4%**
კლება	1,527.1	1,518.3	99.4%
საშინაო	1,527.1	1,518.3	99.4%
ბალანსი	**0**	**0**	

ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	**163,240.1**	**165,104.8**	**101.1%**
შემოსავლები	149,440.1	151,423.9	101.3%
არაფინანსური აქტივების კლება	13,800.0	13,680.9	99.1%
გადასახდელები	**193,458.1**	**184,238.7**	**95.2%**
ხარჯები	78,497.5	75,449.2	96.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	113,433.5	107,271.2	94.6%
ვალდებულებების კლება	1,527.1	1,518.3	99.4%
ნაშთის ცვლილება	**-30,218.0**	**-19,133.9**	

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის

ბიუჯეტის შემოსულობები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 165,104.8 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2012 წლის გეგმიური მაჩვენებლის 101.1 %-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 12,619.0 ათასი ლარი (შემოსულობების 7,6%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 116,363.9 ათასი ლარი (შემოსულობების 70,5%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 22,441.0 ათასი ლარი (შემოსულობების 13,6%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 13,680.9 ათასი ლარი (შემოსულობების 8,3%).

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის

ფაქტიური შემოსულობები

№	**შემოსულობის დასახელება**	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**151,423.9**	***91.7%***
1.1	გადასახადები	12,619.0	*7.6%*
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	116,363.9	*70.5%*
1.3	სხვა შემოსავლები	22,441.0	*13.6%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**13,680.9**	***8.3%***
ჯამი		**165,104.8**	***100.0%***

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

№	შემოსულობების დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**149,440.1**	**151,423.9**	***1,983.8***	***101.3%***
1.1	გადასახადები	12,350.0	12,619.0	*269.0*	***102.2%***
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	116,851.6	116,363.9	*-487.7*	***99.6%***
1.3	სხვა შემოსავლები	20,238.5	22,441.0	*2,202.5*	***110.9%***
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**13,800.0**	**13,680.9**	***-119.1***	***99.1%***
ჯამი		**163,240.1**	**165,104.8**	**1,864.7**	***101.1%***

ქ. ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში



თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა

№	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი
1	**შემოსავლები**	**63,677.3**	**58,461.7**	**122,075.8**	**160,594.2**	**202,436.4**	**151,423.9**
1.1	გადასახადები	6,562.6	8,382.0	7,973.8	10,547.3	11,918.1	12,619.0
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	49,158.5	43,210.8	106,279.9	137,290.6	176,229.6	116,363.9
1.3	სხვა შემოსავლები	7,956.2	6,868.9	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,441.0
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**4,227.1**	**5,620.6**	**2,135.0**	**9,043.9**	**6,682.4**	**13,680.9**
სულ ჯამი		**67,904.4**	**64,082.3**	**124,210.8**	**169,638.1**	**209,118.8**	**165,104.8**

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



შემოსავლები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 149,440.1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 151,423.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.3 %.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 12,619.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 12,350.0 ათასი ლარის 102.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 7,6%-ს.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

№	შემოსავლის სახე	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2012 წლის ფაქტი	შესრულება			
									2012 წ. გეგმასთან		2011 წ. ფაქტთან	
									გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	ქონების გადასახადი	6,492.7	7,660.5	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,350.0	12,616.3	*266.3*	*102.2%*	*705.3*	*105.9%*
1.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	157.8	228.6	122.7	262.4	544.7	640.0	673.8	*33.8*	*105.3%*	*129.1*	*123.7%*
1.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	5,366.6	5,730.2	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,780.0	10,934.3	*154.3*	*101.4%*	*853.4*	*108.5%*
1.3	მიწის გადასახადი	968.3	1,701.7	1,256.0	1,606.1	1,285.4	930.0	1,008.2	*78.2*	*108.4%*	*-277.2*	*78.4%*
2	სხვა გადასახადები	69.9	721.4	394.7	39.7	7.1		2.7	*2.7*	-	*-4.4*	-
სულ		**6,562.6**	**8,381.9**	**7,973.8**	**10,547.3**	**11,918.1**	**12,350.0**	**12,619.0**	***269.0***	***102.2%***	***700.9***	***105.9%***

2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2012 წლის გეგმიური მაჩვენებელი 12,350.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 12,616.3 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 102,2 %-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

№	დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	**სულ ქონების გადასახადი,** მათ შორის:	**12,350.0**	**12,616.3**	***266.3***	***102.2%***
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	10,780.0	10,934.3	*154.3*	*101.4%*
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	640.0	673.8	*33.8*	*105.3%*
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	930.0	1,008.2	*78.2*	*108.4%*

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 12,780.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 10,934.3 ათასი ლარი. რაც გეგმის 101,4%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 640,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 673.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 105,3%-ია. ქონების გადასახადის აღნიშნულ სახეში შესრულების მაღალი მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ცალკეული ორგანიზაციების მიერ გადასახადი გადახდილია შეცდომით ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის კოდზე, ნაცვლად საწარმოთა ქონების გადასახადისა.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,008.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (930,0 ათასი ლარი) 108,4%-ია.

№	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი
1	**სულ ქონების გადასახადი,** მათ შორის:	**6,492.7**	**7,660.5**	**7,579.1**	**10,507.6**	**11,911.0**	**12,616.3**
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	5,366.6	5,730.2	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	157.8	228.6	122.7	262.4	544.7	673.8
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	968.3	1,701.7	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2

ქონების გადასახადის 2012 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2011 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 705.3 ათასი ლარით გაზრდილია. ქონების გადასახადი საინვესტიციო მასშტაბების ინდიკატორია. ამ მხრივ ქალაქ ბათუმის მასშტაბით მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებია, სამეწარმეო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა საბოლოო ჯამში ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზეც აისახება.

ქონების გადასახადის სტრუქტურა



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:


ქონების გადასახადის შესრულება
ცალკეული თვეების მიხედვით
3,500.0
3,000.0
2,500.0
2,000.0
1,500.0
1,000.0
500.0
0.0
62.0
132.0
599.5
1,136.9
326.7
3,318.3
2,875.5
2,589.1
78.3
243.9
1,065.8
188.4
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12


ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით
(ნაზარდი ჯამით)
14,000.0
12,000.0
10,000.0
8,000.0
6,000.0
4,000.0
2,000.0
0.0
62.0
194.0
793.5
1,930.3
2,257.1
5,575.3
8,450.8
11,039.9
11,118.1
11,362.0
12,427.8
12,616.3
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12



სხვა გადასახადები – აღნიშნულ სახეში მობილიზებული იქნა 2.7 ათასი ლარი, რომელიც წინა წლების გაუქმებული ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.

<u>ფინანსური დახმარება და გრანტები</u>

2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 116,363.9 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 116,851.6 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს 487.7 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 40,975.5 ათას ლარს, 64,024.5 ათასი ლარი საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად სპეციალური ტრანსფერია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ფინანსური სახსრები შეადგენს 513.2 ათას ლარს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები – 48.0 ათას

ლარს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები – 300.0 ათას ლარს. ასევე, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2012 წელს მიღებული იქნა 2,698.2 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 7,804.5 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 70,5 %-ია.

№	დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის შესრულება	გადახრა
1	**სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება**	**109,047.1**	**108,559.4**	**487.7**
1.1	**გათანაბრებითი ტრანსფერი**	**40,975.5**	**40,975.5**	**0.0**
1.2	**სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის:**	**68,071.6**	**67,583.9**	**487.7**
	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	64,024.5	64,024.5	0.0
	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	48.0	48.0	0.0
	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	300.0	300.0	0.0
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	1,000.0	513.2	486.8
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	2,699.1	2,698.2	0.9
2	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება**	**7,804.5**	**7,804.5**	**0.0**
ჯამი		**116,851.6**	**116,363.9**	**487.7**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები

2012 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 300.0 ათასი ლარი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/10 განკარგულების შესაბამისად, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოეყო. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდა ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები

საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 48.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულების შესაბამისად 16.0 ათასი ლარი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით.

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №1990 განკარგულების შესაბამისად 32.0 ათასი ლარი ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტისათვის საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1358 განკარგულების შესაბამისად, ქ. ბათუმში ახალი საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად წარმართვასთან დაკავშირებით პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოების მიზნით გამოყოფილი იქნა 1,000.0 ათასი ლარი, აღნიშნული თანხიდან 486.8 ათასი ლარი უკან იქნა დაბრუნებული სახელმწიფო ბიუჯეტში, საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო.

უკან დაბრუნებული თანხის გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები 513.2 ათას ლარს შეადგენს.

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 2,698.2 ათასი ლარი „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (I და II ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონელსა და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის 50 %-ის გადახდის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2012 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 7,804.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 7,767.0 ათასი ლარი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 26 დეკემბრის №221 განკარგულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 37.5 ათასი ლარი.

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2012 წლის საპროგნოზო მოცულობა 20,238.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22,441.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 110.9%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 13,6%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 7,896.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7,575.0 ათასი ლარი) 104.2%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 6,980.4 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 915.9 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 283.1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 632.8 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 9,995.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8,985.0 ათასი ლარი) 111.3%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 9,990.3 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 373.9 ათასი ლარი. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში გაიცა 819 მშენებლობის ნებართვა;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 1.4 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 10.2 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 7,976.6 ათასი ლარი, მათ შორის:

კაზინოების (სამორინეების) სათამაშო მაგიდიდან – 3,546.0 ათასი ლარი;

სათამაშო აპარატებიდან – 4,220.6 ათასი ლარი;

ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან – 30.0 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 180.0 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2012 წელს მიღებული თანხები



- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** – 1,605.6 ათასი ლარი;

- **სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი** – 22.6 ათასი ლარი;

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** – 5.6 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს (ძირითადად შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულ შემოსავალს).

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 3,188.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,477.5 ათასი ლარის) 128.7 %-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 882.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის – 1,341.0 ათასი ლარი;

საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევიდან – 8.9 ათასი ლარი;

უბილეთოდ მგზავრობის გამო – 4.9 ათასი ლარი;

დასუფთავების წესების დარღვევის გამო – 4.4 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 6.1 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო – 7.9 ათასი ლარი;

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო – 93.3 ათასი ლარი;

ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხ-ლოდან – 733.7 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან – 105.0 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 1,360.7 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1,201.0 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 113.3 %. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 162.0 ათასი ლარი;

შემოსავალს მართვის უფლების გადაცემიდან (გარე რეკლამის განთავსებაზე) - 113.8 ათასი ლარი

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 73.5 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 54.9 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელ და დაბრუნებულ საბიუჯეტო სახსრებს - 682.7 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 273.8 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად აერთიანებს მუნიციპალური პროგრამების თანადაფინანსებას

(შენობაზე ფართის დამატებისთვის), გარე ვაჭრობის უფლების საფასურს, აგრეთვე სხვა შემოსავლებს რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2012 წლის გეგმა	2012 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	**20,238.5**	**22,441.0**	**2,202.5**
შემოსავლები საკუთრებიდან	**7,575.0**	**7,896.3**	**321.3**
პროცენტები	**6,700.0**	**6,980.4**	**280.4**
რენტა	**875.0**	**915.9**	**40.9**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	250.0	283.1	33.1
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	632.8	7.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**8,985.0**	**9,995.9**	**1,010.9**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**8,985.0**	**9,990.3**	**1,005.3**
სანებართვო მოსაკრებელი	295.0	373.9	78.9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		1.4	1.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		10.2	10.2
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	6,940.0	7,976.6	1,036.6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,750.0	1,605.6	-144.4
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		22.6	22.6
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**0.0**	**5.6**	**5.6**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან		5.6	5.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**2,477.5**	**3,188.1**	**710.6**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**1,201.0**	**1,360.7**	**159.7**

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	**7,956.2**	**6,868.9**	**7,822.1**	**12,756.3**	**14,288.7**	**22,441.0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**571.1**	**786.8**	**910.8**	**1,790.3**	**2,797.9**	**7,896.3**
პროცენტები	**255.5**	**386.3**	**543.1**	**1,392.1**	**1,925.9**	**6,980.4**
რენტა	**315.6**	**400.5**	**367.7**	**398.2**	**872.0**	**915.9**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	76.8	88.7	80.5	164.6	291.1	283.1
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	238.8	311.8	287.2	233.6	580.9	632.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**5,061.1**	**5,483.9**	**5,039.0**	**7,309.5**	**8,635.0**	**9,995.9**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**4,912.0**	**5,437.1**	**4,946.3**	**7,267.7**	**8,620.2**	**9,990.3**
სანებართვო მოსაკრებელი	633.9	247.1	217.8	372.8	215.4	373.9
სახელმწიფო ბაჟი	0.5	1.1	4.5	2.0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.1	0.4	0.5	0.9	1.4
სატენდერო მოსაკრებელი	56.2	44.6	38.2	55.6		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		3.0	0.4	2.2	13.2	10.2
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	3,625.4	4,040.0	3,620.8	5,914.4	7,338.5	7,976.6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	593.9	1,101.1	1,064.2	920.2	1,042.6	1,605.6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	2.0	0.1		0.0	9.56	22.60
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**149.1**	**46.8**	**92.7**	**41.8**	**14.8**	**5.6**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	149.1	46.8	92.7	41.8	14.8	5.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**2,233.6**	**585.9**	**1,266.7**	**2,297.4**	**2,370.6**	**3,188.1**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**90.4**	**12.3**	**605.6**	**1,359.1**	**485.2**	**1,360.7**

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის

სხვა შემოსავლების სტრუქტურა



თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების 2012 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8,152.2 ლარით აღემატება. პროცენტულ გამოხატულებაში

ზრდა წინა წელთან შედარებით 57.1 %-ს შეადგენს. შესაბამისად, გაუმჯობესდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა, ვინაიდან სხვა შემოსავლები ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება.

<u>არაფინანსური აქტივების კლება</u>

2012 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 13,680.9 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (13,800.0 ათასი ლარის) 99.1 %-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 8.3%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 3,790.7 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 9,811.0 ათასი ლარი, ხოლო 79.2 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 38,511.4 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც თვითმმართველი ქალაქის ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -30,218.0 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 19,377.5 ათას ლარს შეადგენდა, რაც განპირობებული იყო ერთის მხრივ 2012 წლის საბიუჯეტო შემოსულობების ნამეტით (2,352.3 ათასი ლარი) და მეორეს მხრივ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების სრულად დაუფინანსებლობით და მომდევნო საბიუჯეტო წელს გადატანით (17,025.2 ათასი ლარი).

დასახელება	**2012 წლის გეგმა**	**2012 წლის შესრულება**
ნაშთი 01.01.2012		38,511.4
ნაშთის ცვლილება	**-30,218.0**	**-19,133.9**
ზრდა		38.3
ვალუტა და დეპოზიტები		38.3
კლება	30,218.0	19,172.2
ვალუტა და დეპოზიტები	30,218.0	19,172.2
ნაშთი 01.01.2013		19,377.5

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში



თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

№	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ული წილი
1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**14,505.2**	**13,997.1**	**96.5%**	**7.6%**
1.1	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	11,626.8	11,287.8	97.1%	6.1%
1.2	სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,811.2	2,645.3	94.1%	1.4%
1.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	67.2	64.0	95.2%	0.0%
2	**თავდაცვა**	**45.0**	**38.8**	**86.2%**	**0.02%**
3	**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**59.0**	**55.9**	**94.7%**	**0.03%**
4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**44,831.4**	**43,029.7**	**96.0%**	**23.4%**
4.1	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	69.5	9.7	14.0%	0.0%
4.2	ტრანსპორტი	36,397.2	34,661.0	95.2%	18.8%
4.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	8,364.7	8,359.0	99.9%	4.5%
5	**გარემოს დაცვა**	**9,435.0**	**9,035.8**	**95.8%**	**4.9%**
5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6,361.4	6,205.1	97.5%	3.4%
5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3,073.6	2,830.7	92.1%	1.5%
6	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**80,409.3**	**77,833.0**	**96.8%**	**42.2%**
6.1	კომუნალური მეურნეობის განვითარება	53,882.6	51,489.6	95.6%	27.9%
6.2	წყალმომარაგება	22,787.0	22,653.1	99.4%	12.3%
6.3	გარე განათება	3,739.7	3,690.3	98.7%	2.0%
7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**767.4**	**692.0**	**90.2%**	**0.4%**
8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**25,761.9**	**23,354.0**	**90.7%**	**12.7%**
8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	20,798.8	18,641.4	89.6%	10.1%
8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	4,596.8	4,352.8	94.7%	2.4%
8.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	366.3	359.8	98.2%	0.2%
9	**განათლება**	**6,784.1**	**6,771.3**	**99.8%**	**3.7%**
10	**სოციალური დაცვა**	**9,332.7**	**7,912.8**	**84.8%**	**4.3%**
11	**ვალდებულებების შემცირება**	**1,527.1**	**1,518.3**	**99.4%**	**0.8%**
	გადასახდელების ჯამი	**193,458.1**	**184,238.7**	**95.2%**	**100.0%**



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2012 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,505.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13,997.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.5%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 7.6%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 38.8 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 86.2%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირებას.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო 59.0 ათასი ლარით, გაწეულმა საკასო ხარჯმა 55.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 94.7%. ამ სფეროში გაერთიანებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების ხარჯები.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 44,831.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 43,029.7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.0%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 23.4%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ხარჯებს, ა(ა)იპ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს და ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოების სუბსიდირებას, ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის და მუნიციპალური საწარმოების განვითარების პროგრამის დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 9,435.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9,035.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.8%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები. ასევე, კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების პროგრამის დაფინანსება. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 4.9%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების, წყალმომარაგების, საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, ა(ა)იპ - ბათუმის განვითარების ფონდის სუბსიდირების, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების და გარე განათების ხარჯები, შეადგენდა 80,409.3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა

77,833.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 42.2%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 767.4 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 692.0 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 90.2%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 0.4%-ია.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 25,761.9 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 23,354.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.7%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.7%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, ასევე ქალაქის გაფორმების ხარჯები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, სპორტისა და დასვენების დაწესებულებების მიმდინარე, ასევე მათი რეაბილიტაციის ხარჯები. კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამები, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 6,784.1 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 6,771.3 ათას ლარს, ანუ გეგმის 99.8%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება და საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.7%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 9,332.7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 7,912.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.3%-ს.

ვალდებულებების კლებაზე გათვალისწინებული იყო 1,527.1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1,518.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 0.8%-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:



№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**78,497.5**	**75,449.2**	**96.1%**	**41.0%**
1	**შრომის ანაზღაურება**	**7,323.0**	**7,322.7**	**100.0%**	**4.0%**
2	**საქონელი და მომსახურება**	**18,704.2**	**17,852.2**	**95.4%**	**9.7%**
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	87.7	81.5	**92.9%**	0.0%
2.2	მივლინებები	112.2	99.7	**88.9%**	0.1%
2.3	ოფისის ხარჯები	724.9	715.3	**98.7%**	0.4%
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	107.7	89.2	**82.8%**	0.0%
	სამედიცინო ხარჯები	0.3	0.2	**66.7%**	0.0%
2.6	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	39.5	39.4	**99.7%**	0.0%
2.7	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	513.4	483.3	**94.1%**	0.3%
2.8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	17,118.5	16,343.6	**95.5%**	8.9%
3	**პროცენტი**	**2,368.2**	**2,202.4**	**93.0%**	**1.2%**
4	**სუბსიდიები**	**16,595.4**	**16,444.0**	**99.1%**	**8.9%**
5	**სოციალური უზრუნველყოფა**	**4,792.0**	**4,477.8**	**93.4%**	**2.4%**
6	**სხვა ხარჯები**	**28,714.7**	**27,150.1**	**94.6%**	**14.7%**
7	მიმდინარე	8,285.2	8,006.2	**96.6%**	4.3%
8	კაპიტალური	20,429.5	19,143.9	**93.7%**	10.4%
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**113,433.5**	**107,271.2**	**94.6%**	**58.2%**
III	**ვალდებულებების კლება**	**1,527.1**	**1,518.3**	**99.4%**	**0.8%**
	გადასახდელების ჯამი	**193,458.1**	**184,238.7**	**95.2%**	**100%**

ხარჯებმა შეადგინა 75,449.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,497.5 ლარის 96.1%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 41.0%,

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,322.7 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 4.0%,

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17,852.2 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 9.7%-ია, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 81.5 ათასი ლარი.

მივლინებები – 99.7 ათასი ლარი

ოფისის ხარჯები – 715.3 ათასი ლარი.

წარმომადგენლობით ხარჯები – 89.2 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები – 0.2 ათასი ლარი.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯებმა – 39.4 ათასი ლარი

ტრანსპორტისა და ტექნიკისა ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე გაწეულია 483.3 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა შეადგინა 16,343.6 ათასი ლარი.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2,202.4 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1.2%–ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 16,444.0 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.9%.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4,477.8 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 2.4%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 27,150.1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 14.7%–ია, მათ შორის:

სხვა მიმდინარე ხარჯები – 8,006.2 ათასი ლარი.

სხვა კაპიტალური ხარჯები – 19,143.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 107,271.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 113,433.5 ათასი ლარის 94.6%-ია, მთლიანი გადასახდელების – 58.2%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 1,518.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 1,527.1 ათასი ლარის 99.4%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 0.8%.

<u>ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში</u>

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	**თვითმმართველობის ორგანოები**	**11,438.9**	**11,287.8**	**151.1**	**98.7%**
01 01	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო	1,542.2	1,533.7	8.5	99.4%
01 02	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	9,896.7	9,754.1	142.6	98.6%
02 00	**ქ. ბათუმის მერიის პროგრამები**	**138,700.4**	**130,631.9**	**8,068.5**	**94.2%**
02 01	კომუნალური ინფარსტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები	3,290.6	3,047.5	243.1	92.6%
02 02	ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები	52,940.2	51,008.9	1,931.3	96.4%
02 03	საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	7,154.3	6,721.8	432.5	94.0%
02 04	ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა	34,364.9	32,878.4	1,486.5	95.7%
02 05	განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები	18,642.2	16,464.0	2,178.2	88.3%
02 06	განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზდობის საქმეთა პროგრამები	3,660.9	3,485.8	175.1	95.2%
02 07	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	767.4	692.0	75.4	90.2%
02 08	სოციალური დაცვის პროგრამები	9,321.7	7,909.3	1,412.4	84.8%
02 09	ქალაქის ეკონომიკური განვითარების პროგრამები	8,558.2	8,424.2	134.0	98.4%
03 00	**სესხების მომსახურება**	**4,221.6**	**4,049.7**	**171.9**	**95.9%**
04 00	**დონორების დაფინანსებული პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები**	**22,581.0**	**22,439.8**	**141.2**	**99.4%**
05 00	**სარეზერვო ფონდი**	**187.9**		**187.9**	**-**
06 00	**წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება)**	**159.5**	**153.5**	**6.0**	**96.2%**
07 00	**განათლების, კულტურის, სპორტის, დასვენებისა და სხვა დაწესებულებების დაფინანსება**	**16,040.4**	**15,556.9**	**483.5**	**97.0%**
07 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	4,382.2	4,378.9	3.3	99.9%
07 04	კულტურისა და დასვენების დაწესებულებები	4,446.6	4,403.7	42.9	99.0%
07 05	სასპორტო დაწესებულებები	948.1	930.2	17.9	98.1%
07 06	სხვა დაწესებულებების დაფინანსება	6,263.5	5,844.1	419.4	93.3%
08 00	**სხვადასხვა უწყებები და ღონისძიებები**	**128.4**	**119.1**	**9.3**	**92.8%**
08 01	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები	59.0	55.9	3.1	94.7%
08 02	რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირება	45.0	38.8	6.2	86.2%
08 03	საარჩევნო კომისიის შენობის რემონტი	24.4	24.4		100.0%
	გადასახდელების ჯამი	**193,458.1**	**184,238.7**	**9,219.4**	**95.2%**

თვითმმართველობის ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 11,287.8 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 11,438.9 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 98.7% აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7,322.7 ათასი ლარი, საქონელსა და

მომსახურებაზე - 2,074.4 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 31.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 24.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 1,835.5 ათასი ლარი, მათ შორის:

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს ხარჯებმა შეადგინა 1,533.7 ათასი ლარი დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,542.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.4%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1,176.0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 296.5 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 37.6 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 22.2 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 80.7 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 11.7 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებზე - 0.2 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 89.3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 54.8 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 9.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 51.6 ათასი ლარი.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის ხარჯებმა შეადგინა 9,754.1 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 9,896.7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 98.6%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 6,146.7 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1,777.9 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 43.8 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე – 77.6 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 587.1 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 77.5 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 39.4 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 394.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 558.5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 21.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 24.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 1,783.9 ათასი ლარი.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის პროგრამებზე მიიმართა 130,631.9 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 138,700.4 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.2%, საიდანაც საქონელზე და მომსახურებაზე მიიმართა 15,688.0 ათასი ლარი, სუბსიდიებზე - 6,171.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე - 4,446.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 26,616.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 77,709.1 ათასი ლარი, აქედან:

კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების ხარჯებმა შეადგინა 3,047.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,290.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92.6%, საიდანაც საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს - 766.2 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდა – 2,281.3 ათას ლარს. აქედან:

სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 2,770.0 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 2.954.0 ათას ლარს. გეგმის შესრულება შეადგენს 93.8 %-ს. აქედან საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 726.7 ათასი ლარი, რაც სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციას მოხმარდა, კერძოდ წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხორციელდებოდა 2 000 სანიაღვრე ჭის გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა შლამწოვის საშუალებით. ასევე, 22.2 ათასი გრძ. მ. ღია და 16 740 გრძ. მ. დახურული სანიაღვრე არხების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა, 11.4 ათასი გრძ. მ. სანიაღვრე მილების გაწმენდა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება, ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა. სეზონურად ზაფხულის პერიოდში განხორციელდა სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება, მდინარეების ფსკერების გაწმენდითი სამუშაოები. შეძენილი იქნა 220 ცალი თუჯის სანიაღვრე ჭის სახურავი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 2,043.3 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ჰაიდარ აბაშიძის ქუჩაზე (ჭავჭავაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებს *(არხის საფუძვლის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევისაგან, 250 მმ.-იანი 150 გრძ. მეტრი პოლიეთილენის მილების მონტაჟი, თუჯის (36 ცალი) ლუქების მონტაჟი, სათვალთვალო ჭების და*

წყალმიმღები ჭების მოწყობა მონოლითური ბეტონის სანიაღვრე კოლექტორისთვის, 24 მილსადენების ჩართვა არხში, რკინა ბეტონის არხის მიერთება არსებული რკინაბეტონის არხთან, არსებული საფუძვლის პროფილის გასწორება, 1344 კვ.მ. საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა, ქალაქის არსებული კომუნიკაციებთან გადაკვეთის ადგილებში გადატანითი სამუშაოების შესრულება); ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობის სამუშაოებს *(თუჯის ცხაურების მონტაჟი, 784,89 კბ.მ. მონოლითური რკ/ბეტონის არხის კედლების მოწყობა, გადახურვის 819 ცალი ფილის მოწყობა, 21.3 ათასი კვ.მ. ბიტუმის ჩასხმა)*; სანიაღვრე სისტემების მოწყობას და რეკონსტრუქციას: კერძოდ, მალაზონიას ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებს (9 სანიაღვრე ჭის მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან ლითონის ცხაურიანი ხუფით, არსებული ღია სანიაღვრე არხის ამოვსება ბალასტით და მოშანდაგება); ფაღავას ქუჩის მონაკვეთზე სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციას (საკანალიზაციო პლასტმასის გოფრირებული მილების ჩადება არხში. 19 სანიაღვრე კანალიზაციის ჭის მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან ლითონის ცხაურიანი ხუფით, 12 კვ.მ. ასფალტის საფარის აღდგენა); გორგილაძისა და მელიქიშვილის ქუჩების ეზოების შესასვლელებში სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოებს, ასევე მე-2 ზონაში (ბარათაშვილის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას (კონტრაქტორ ორგანიზაციაზე დაკავებული საგარანტიო თანხა).

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ჰაიდარ აბაშიძის ქუჩაზე (ჭავჭავაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე) სანიაღვრე არხის მოწყობა	236.3
2	ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა	1,415.0
3	სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეკონსტრუქცია	392.0
ჯამი		**2,043.3**

წყლის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 216.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 217.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.9%. კერძოდ განხორციელდა ე.წ. "გოროდოკის" დასახლების წყალმომარაგების სისტემის *(1,277 კმ. პოლიეთილენის წყალსადენის მილების მონტაჟი, 31 კომპლექტი ურდულების მონტაჟი, 71 ცალი პლასტმასის ფასონური ნაწილები განთავსება, არსებულ მილსადენთან 31 წერტის ჩართვა-მიერთება)*; სამრეწველო უბანში ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ქუჩა №3-ში მდებარე დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები *(600 გრძ.მ. პოლიეთილენის წყალსადენის მილის გაყვანა არხში ჰიდრავლიკური გამოცდით, მილსადენზე 10 ცალი პოლიეთილენის ფასონური ნაწილების დაყენება).*

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	"გოროდოკის" წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	211.6
2	ახალი წყლის სისტემების მოწყობა	5.2
	ჯამი	**216.8**

კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 119.6 ათას ლარს, მიმდინარე პერიოდში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 60.7 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 50.8%. საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა 39.5 ათასი ლარი შეადგინა, რომლის ფარგლებში განხორციელდა 220 ცალი საკანალიზაციო ჭის სახურავის შეძენა. არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეული იქნა 21.2 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა ფ. ხალვაშის ქუჩის ერთი მონაკვეთის საკანალიზაციო სისტემის აღდგენის სამუშოები *(0,09 კმ. პოლიეთილენის წყალსადენის მილების მონტაჟი, 3 კბ.მ. საკანალიზაციო ჭების მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან, 4 ცალი თუჯის ლუქების მონტაჟი)*; მალაზონიას ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები *(288 გრ.მ. საკანალიზაციო მილების ჩადება არხში, 6,6 კბ.მ. საკანალიზაციო ჭების მოწყობა მონოლითური ბეტონისაგან).*

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული მახინჯაურის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის აღდგენის სამუშაოები 2012 წელს არ განხორციელებულა, ვინაიდან მომწოდებელი კომპანიის მიზეზით შეწყდა გაფორმებული ხელშეკრულება, რამაც გამოიწვია პროგრამის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნული სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებული იქნა ქ. ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტში.

ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 52,940.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 51,008.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.4%-ია, აქედან საქონელზე და მომსახურებაზე მიიმართა 12,269.8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 7,487.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე – 31,252.0 ათასი ლარი, აქედან:

სანიტარული დასუფთავების პროგრამებზე გათვალისწინებული იყო 6,109.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა საქონელზე და მომსახურებაზე კი 6,023.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98.6%-ია. პროგრამა რომელიც მოიცავს ორ ღონისძიებას ქალაქის სანიტარულ დასუფთავებას და ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციას.

ქალაქის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებების ფარგლებში წლის განმავლობაში ხორციელდებოდა 1,180.9 ათასი კვ. მ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, 245.7 ათასი კვ. მ მწვანე საფარის დაგვა-დასუფთავება დღეში ერთხელ, მრავალსართულიანი სახლების ეზოების ფართის დასუფთავება, 900 კონტეინერის გარეცხვა თვეში ერთხელ, 203.1 ათასი კვ. მ ტერიტორიის მორწყვა სეზონურად ივნის-სექტემბრის თვეების განმავლობაში და მორეცხვა, სანაპირო ზოლის დაგვა-დასუფთავება თვეში ოთხჯერ ზაფხულის სეზონის გარდა, ხოლო სეზონურად (მაისი-სექტემბერი) – ყოველდღე, მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, თოვლის საფარისაგან ქუჩებისა და ტროტუარების გაწმენდა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნაგავშემკრები ბუნკერებიდან და კონტეინერებიდან საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების (წლის

განმავლობაში 53.0 ათასი ტონა) გატანა ნაგავსაყრელამდე და უტილიზაცია. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული ხარჯი შეადგენს 5,883.3 ათას ლარს.

ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ყოველთვიურად ქალაქის ტერიტორიაზე 980 ობიექტის დერატიზაცია, სეზონურად (ივნისი-სექტემბერი) თვეში ერთჯერ სამი და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების 569 სარდაფის დეზინსექცია, სეზონურად (ივნისი-სექტემბერი) თვეში ერთჯერ ქალაქის დაჭაობებული ტერიტორიების (ღია არხები და მიმდებარე ტერიტორია, 5,27 ჰექტარი) დეზინსექცია, წლის განმავლობაში ყოველთვიურად ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული 1400 ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ცხრა და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების 75 ნაგავგამტარების დეზინსექცია, ნაგავგამტარების დამატებითი დეზინსექცია სეზონურად (ივნისი-სექტემბერი). აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გახარჯული თანხა შეადგენს 139.8 ათას ლარს.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ქალაქის სანიტარული დასუფთავება	5,883.3
2	ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაცია	139.8
	ჯამი	**6,023.1**

გარე განათების პროგრამებზე გეგმით გათვალისწინებული იყო 3,739.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 3,690.3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.7%. აქედან საქონელისა და მომსახურების ხარჯები შეადგენს 2,847.9 ათას ლარს, საიდანაც 847.9 ათასი ლარი მიიმართა ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და შენობა ნაგებობების ფასადების გარე განათების 17133 წერტისა და 288 ელ. გამანაწილებელი კარადის მიმდინარე საექსპლუატაციო სამუშაოებზე და ბოძების შეღებვის სამუშაოებზე. კერძოდ, სისტემატიურად ხორციელდებოდა სადენების

შეერთების შემოწმება, სანათების დანაჭერების შემოწმება, საჰაერო ხაზების შემოწმება, შემჩნეული დაზიანებების აღმოფხვრა და დაზიანებული კაბელების გამოცვლა, ლითონის საყრდენებისა და კრონშტეინების შეღებვა, საყრდენების გამანაწილებელ ყუთებში კაბელების შეერთებების დათვალიერება და გაწმენდა, სანათებსა და პროჟექტორებში გადამწვარი ნათურების შეცვლა, სატრანსფორმატორო ქვესადგურებსა და ელ. გამანაწილებელ კარადებში დროსელების, ფოტორელეს, კონტაქტორის, მცველების, ჩამრაზი ნაწილების შეცვლა, ქსელებში ძაბვისა დატვირთვის შემოწმება. 2,000.0 ათასი ლარი ქალაქის გარე განათების ელექტროენერგიის საფასურის დაფარვას მოხმარდა.

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 842.4 ათას ლარს, რომლის ფარგლებში თანხები მიიმართა 150 ვატიანი 730 ცალი სანათისა და 20 ვატიანი 300 ცალი დიოდური პროჟექტორის შეძენისათვის, 15 ქუჩის გარე განათების კაპიტალური სამუშაოებზე, დამონტაჟებულ იქნა 396 წერტი.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	სანათების შეძენა	220.7
2	დეკორატიული განათების პროჟექტორების შეძენა	450.0
3	ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები	171.6
	ჯამი	**842.4**

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის საკასო შესრულებამ შეადგინა 32,705.8 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 34,147.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95.8%. აქედან საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს – 3,125.0 ათას ლარს, რომელიც მიიმართა ასფალტირებული ქუჩების ორმულ შეკეთებაზე (53.1 ათასი კვ. მ ტერიტორიის ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით, 2.5 ათასი გრძ. მ ბორდიურების შეკეთება, ქალაქის ქუჩებში 1.0 ათასი კვ. მ. ბეტონის ფილების რემონტი, ქალაქის ქუჩებში ტროტუარებსა და მოედნებზე 0,4 ათასი კვ. მ ბეტონის ფილების დაგება, ქალაქის ქუჩებში 0.5 ათასი მ. ბორდიურების მოწყობა, 0.7 ათასი კვ. მ. რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება); არაასფალტირებული ქუჩების ინერტული მასალებით მოშანდაგებასა და სარემონტო სამუშაოებზე (85.0 ათასი კვ. მ

ტერიტორიის ორმოების შეკეთება ქვიშა-ღორღოვანი ნარევით, 50.0 ათასი კვ. მ ტერიტორიის ორმოების შეკეთება ქვიშა-ღორღოვანი ნარევის გარეშე). საგზაო ნიშნების მოვლა-ექსპლოატაციაზე (6.2 ტონა საგზაო მარკირების საღებავის შეძენა); სიჩქარის მზომი რადარების (შვიდი ერთეული) მონტაჟზე.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები	1,761.8
2	არაასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები	1,219.7
3	საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვა	63.8
4	რადარების მონტაჟი	79.7
ჯამი		**3,125.0**

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 29,580.9 ათას ლარს. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ქ. ბათუმში ბაგრატიონის ქუჩიდან ლეონიძის ქუჩამდე ახალი ქუჩის მშენებლობის სამუშაოები *(დაიგო 25.5 ათასი კვ.მ. ასფალტის საფარი, დამონტაჟდა 38 ცალი განათების ბოძი, მოეწყო 3.2 ათასი გრძ.მ. ბორდიური, დაიგო 4453 კვ.მ. ფილა)*; ბარცხანის 46.7 მეტრი სიგრძის ხიდის რეკონსტქრუქცია; ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა *(დაიგო 39.8 ათასი კვ.მ დეკორატიული ფილები და 22.6 ათასი კვ.მ. ბუნებრივი ქვის ქვაფენილი, მოეწყო 5000 კვ.მ. ველობილიკი, განხორციელდა 1000 ბოძკინტის შეძენა-მონტაჟი)*; ს. ხიმშიაშვილის ქუჩის, ჰ. აბაშიძისა და თაყაიშვილის ქუჩების (ჭავჭავაძის ქუჩიდან პარკამდე) სავალი ნაწილის კეთილმოწყობის სამუშაოები; შ. ხიმშიაშვილის და ზ. გორგილაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის მშენებლობა *(მოეწყო 4814 კვ.მ. ცემენტ-ბეტონის გზის საფარი, დაიგო 2599 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, 1674 კვ.მ. ქვაფენილი, 2476 კვ.მ. ასფალტის საფარი, 543 კვ.მ ფილა ტროტუარზე)*; რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების და მათი დამაკავშირებელი ქუჩების მონაკვეთების რეკონსტრუქციის სამუშაოები *(9902 გრძ.მ. ბორდიურის მოწყობა, დაიგო 4170 კვ.მ. გრანიტის ფილა და 35365 კვ.მ. ბუნებრივი ქვის ქვაფენილი, ასევ მოეწყო 3888 გრძ.მ. სანიაღვრე არხი, დაიგო*

5300 კვ.მ. კორდი, დამონტაჟდა 68 ცალი განათების ბოძი და 136 ცალი სანათი); ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქციის სამუშაოები *(13150 კვ.მ., ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე)*; ბათუმი-გონიოს დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა *(დაიგო 30617 კვ.მ. ასფალტის საფარი, სავალ ნაწილზე და ტროტუარზე მოეწყო ბეტონის ბორდიური 7994 გრძ.მ. დაიგო კორდი 5212 კვ.მ., გადაიხურა და რეკონსტრუირებული იქნა ზღვაში გამავალი 3 არსებული ღია არხი, მოეწყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკი 16340 კვ.მ. და ველო ბილიკის 7594 კვ.მ., რკინა ბეტონის დახურული არხი 6 ცალი, დამონტაჟდა განათების ბოძები სანათებით 43 კომპლექტი)*; მელიქიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (დაიგო 14290 კვ.მ ასფალტი, კეთილმოეწყო ტროტუარები) მოწყობილი და რეკონსტრუირებული იქნა ჰიდროტექნიკური ნაგებობები *(მოეწყო გაბიონი 210 გრძ.მ. და გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე დაგებული იქნა 400 კბ.მ. ბეტონის საფარი)*; ლერმონტოვის (ჭავჭავაძის ქუჩიდან პიონერთა პარკამდე), ფარნავაზ მეფისა და გორგასალის (გრიბოედოვის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე), ხინიკაძის, ფალიაშვილისა და მეტაქსას ქუჩებზე სავალი ნაწილის 21500 კვ.მ. ქვაფენილისა და 3,493 კმ ბორდიურის მოწყობა; ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და გზების კაპიტალური რემონტი 8150 კვ.მ.-ზე.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ბაგრატიონის ქუჩიდან ლეონიძის ქუჩამდე ახალი ქუჩის მშენებლობა (ბაგრატიონისა და შ. ხიმშიაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩის გაგრძელება)	92.6
2	ბარცხანის ხიდის რეკონსტქრუქცია	2,276.9
3	ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა (ქუჩების სავალი ნაწილისა და ტროტუარების კეთილმოწყობა, პარკინგის მშენებლობა)	7,816.1
4	ს. ხიმშიაშვილის ქუჩის, ჰ. აბაშიძისა და თაყაიშვილის ქუჩების (ჭავჭავაძის ქუჩიდან პარკამდე) სავალი ნაწილის კეთილმოწყობის სამუშაოები, შ. ხიმშიაშვილის და ზ. გორგილაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის მშენებლობა	1,143.2
5	რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების და მათი დამაკავშირე-ბელი ქუჩების მონაკვეთების რეკონსტრუქციის სამუშაოები	5,503.0
6	ბაგრატიონისა და ერისთვის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე)	2,348.2
7	ბათუმი-გონიოს დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა	4,937.9
8	მელიქიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია	1,286.8
9	ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა-რეკოსნტრუქცია, გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა	237.8
10	ლურმონტოვის ქუჩაზე (ჭავჭავაძის ქუჩიდან პიონერთა პარკამდე), ფარნავაზ მეფისა და გორგასალის ქუჩებზე (გრიბოედოვის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე), ხინიკაძის ქუჩაზე, ფალიაშვილის ქუჩაზე და მეტაქსას ქუჩაზე სავალი ნაწილის ქვაფენილით და ბორდიურების მოწყობა	1,527.5
11	ქალაქის ქუჩებისა, ტროტუარებისა და გზების კაპიტალური რემონტი	2,410.9
	ჯამი	**29,580.9**

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ტექნიკური ზედამხედველობის პროგრამის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,117.2 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 828.8 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 74.2%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და განხორციელებულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	511.1
2	ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა	317.7
	ჯამი	**828.8**

ქალაქის დაგეგმარების პროგრამებზე დაგეგმილი იყო 339.7 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 273.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 80.6%. კერძოდ განხორციელდა ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თვითმმართველი ქ. ბათუმის მონაწილეობით გასაფორმებელი ხელშეკრულებების საჯარო რეესტრის და სანოტარო მომსახურება, შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, აგრეთვე თანხები მიიმართა ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასებისათვის.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია	17.1
2	ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თვითმმართველი ქ. ბათუმის მონაწილეობით გასაფორმებელი ხელშეკრულებების საჯარო რეესტრის და	6.3
3	შენობა-ნაგებობების დემონტაჟი	240.3
4	ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასება	10.0
	ჯამი	**273.8**

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო 7,487.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც სრულად იქნა გახარჯული. თანხები მიიმართა ქ. ბათუმის იერსახის მოწესრიგების მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული უსახური ნაგებობებისა და მინაშენების, ავტოფარეხების დემონტაჟისათვის საკომპენსაციო თანხები გაიცა 1033 მოქალაქეზე. ასევე სხვადასხვა შემთხვევებში ქალაქის 95 მაცხოვრებელზე გაცემულ იქნა

საკომპენსაციო თანხები. აგრეთვე განხორციელდა ქ. ბათუმში, 266ბ კვარტალში მცხოვრები 75 ოჯახებისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტის - გამწმენდი ნაგებობისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ზოლში და გარემოს დაცვის ზონაში მდებარე ფართებში მცხოვრები 14 ფიზიკური პირისათვის, ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, მელიქიშვილისა და ლადო ასათიანის ქუჩების კვარტალში მდებარე, ყოფილი ს/ქ 68-ის ტერიტორიაზე ყინულის მოედნის მშენებლობის ზოლში მდებარე ფართებში მცხოვრები 5 ფიზიკური პირისათვის, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. №107ი-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების ცალკეული 35 მესაკუთრისათვის და ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები 36 პირისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება;

საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 6,721.8 ათასი ლარით, გეგმა 7,154.3 ათას ლარს შეადგენდა, ანუ გეგმის შესრულება 94.0%-ია.

პროგრამის ფარგლებში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სამოქალაქო მონაწილეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წილობრივი თანადაფინანსებით კაპიტალურად შეკეთებულ იქნა 26 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი და 22 საცხოვრებელი სახლის სარდაფში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში 42 ლიფტს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების პარალელურად განხორციელდა მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (214 ეზო), კერძოდ განხორციელდა ასფალტირების (105.0 ათასი კვ.მ.) სამუშაოები, მრავალსართულიანი სახლების ეზოებში შეკეთდა და მოეწყო ფილები (29.8 ათასი კვ.მ.) და ბორდიურები (13.8 ათასი კვ.მ.), დაიგო კორდი (28.7 ათასი კვ.მ.), მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლების ეზოებში დაიდგა 1073 ცალი სკამი და 350 ცალი ფანჩატური. 68 ეზოში დამონტაჟდა 334 გარეგანათების წერტი, 13 ეზოში კეთილმოეწყო კომუნალური სისტემები. განხორციელდა ასევე ქ. ბათუმში ზუბალაშვილის ქ. №20-ში მდებარე

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის და ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქ. №98-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოები.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	სახურავების შეკეთება	652.2
2	სარდაფებში წყლისა და საკანალიზაციო მილების შეცვლა	204.5
3	ლიფტების შეკეთება	230.5
4	მრავალსართულიანი სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა (ფილების დაგება, ბორდიურების შეკეთება, განათება)	5,272.9
5	მრავალსართულიანი სახლების ეზოების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა	281.5
5	ავარიული სახლების შეკეთება-რეკონსტრუქცია	80.2
ჯამი		**6,721.8**

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გათვალისწინებული იყო 34,364.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 32,878.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 95.7%. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები;

- ქუჩების, პარკებისა, სკვერების და მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები: განხორციელდა ძველ ბათუმში 73 ცალი ჭიშკრის სარესტავრაციო სამუშაოები; დამონტაჟდა 677 ცალი დეკორატიული ბოძკინტები, 328 ცალი - ღობე, 118 ცალი - ურნა.

- შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: გოგებაშვილის ქ.№32 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-სარესტავრაციო სამუშაოები; გ. მაზნიაშვილის ქ.№36-ში მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე მოედნის სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№14-ში შენობის რეკონსტრუქცია; ჩკალოვის ქ.№31-ში მდებარე მეჩეთის

შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები; ქ. ბათუმში ჩკალოვის ქ.№3-ში, №4-ში, №4/31-ში, №5-ში მდებარე შენობების ფასადების რეკონსტრუქცია; მ. აბაშიძის ქ.№25 მდებარე (ეროვნული ბანკის ყოფილი ფილიალის) შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; მ. აბაშიძის ქ.№27 და №29-ში მდებარე შენობების ფასადის დეკორატიული მოზაიკით მოპირკეთების სამუშაოები; რუსთაველის ქ.№41-ში საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ჭავჭავაძის ქ.№3-ში მდებარე შენობის ფასადზე საჩრდილობლის რეკონსტრუქციის სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№26-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; გოგებაშვილის ქ.№58-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია; იმედაშვილის ქ.№2-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქცია; ქ. ბათუმში , მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთ ხსოვნის აღმნიშვნელი ობელისკის დემონტაჟის სამუშაოები; ჭავჭავაძის ქ.№6-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№42-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გორგასალის ქ.№47-ში მდებარე შენობის ფასადის განათების სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№40-42ა-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№52-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაჟა ფშაველას/ფარნავაზ მეფის ქ.№35/74-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩკალოვის ქ.№31-ში მდებარე მეჩეთის შენობაზე გუმბათის მოწყობის და შენობის რეკონსტრუქციის დამატებითი სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№44-ში მდებარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№36/38-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები; გოგებაშვილის ქ.№32-ში მდებარე შენობაზე ვიტრაჟების მოწყობა; ჩკალოვის ქ.№31-ში მდებარე მეჩეთის შენობის, გოგებაშვილის ქ.№12-ში და №24-ში მდებარე შენობების ფასადის განათება; წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ფასადის იზოლაციის სამუშაოები; გორგასალისა და ლ. ასათიანის ქუჩაზე მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ფარნავაზ მეფის ქ.№74-ში მდებარე შენობის ფასადის განათება; გოგებაშვილის ქ.№58-ში მდებარე შენობის ფასადის განათება; მაზნიაშვილის ქ.№34-ში მდებარე შენობის ფასადის განათება; გოგებაშვილის ქ. №32-ში მდებარე

შენობაზე ვიტრაჟების განათება; ძველ ბათუმში, სადარბაზოებში 47 ცალი ხის კარების დამზადება-მონტაჟი.

- ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა;

- საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მოწყობა. შეძენილი იქნა 250 ველოსიპედი და 20 ველოპარკინგის ტერმინალი, მოეწყო ქალაქის მასშტაბით 12 ველო-პარკინგი.

- საზაფხულო თეატრის მშენებლობა მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები	616.1
2	ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები	1,759.2
3	შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება	12,832.4
4	ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	9,087.4
4	საზოგადოებრივი ველოსიპედების სისტემის მოწყობა	2,101.8
5	საზაფხულო თეატრის მშენებლობა	6,481.4
ჯამი		**32,878.4**

განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამებით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16,464.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 18,642.2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 88.3%-ით, საიდანაც საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 722.5 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 15,741.6 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე მიიმართა 7,332.3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმის (8,600.2 ათასი ლარი) 85.3%-ია. მათ შორის

საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 115.5 ათასი ლარი, რომელიც ხე-მცენარეების დარგვაზე და ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოდნების დაცვის ხარჯებზე მიიმართა.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	პარკების, სკვერების და მოედნების მოვლა-შენახვა	63.9
4	ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოდნების დაცვის ხარჯები	51.7
	ჯამი	**115.5**

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 7,216.8 ათასი ლარი. რომლის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში ახალი ბულვარიდან მდინარე ჭოროხამდე 10 მ სიგანის ფეხით მოსიარულეთა და 5 მ სიგანის ველოსიპედის სავალი ბილიკების მოწყობა და ზღვის პირა ბილიკის გარე განათებისათვის 135 ბოძის და 405 ცალი ბოძის სანათის შეძენა. ქალაქის გამწვანებისათვის აუცილებელი სპეც. ტექნიკის (მცირე ზომის სატვირთო პლათფორმა ამწეთი, კალათიანი ამწე, მცირე ზომის წყალმზიდი) შეძენა, ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა, სანაპირო ზონის გამწვანება (Miracle Park, რუსთაველისა და გოგებაშვილის ქუჩები).

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ზღვისპირა ბილიკის მოწყობა	4,711.7
2	ზღვისპირა ბილიკისათვის გარე განათების ბოძების შეძენა	1,569.4
3	სპეც. ტექნიკის შეძენა	350.0
4	ხე-მცენარეების შეძენა	271.9
5	სანაპირო ზონის გამწვანება (Miracle Park, რუსთაველისა და გოგებაშვილის ქუჩები)	313.8
	ჯამი	**7,216.8**

ქალაქის გაფორმებაზე განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 854.2 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 890.6 ათას ლარს, ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი 95.9%-ია. საიდანაც საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 550.9 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში დამზადებული და ქალაქის სხვადასხვა უბნებში დამონტაჟებული იქნა ფირნიშები და მემორიალური დაფები, ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარდა სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოები, საშობაო-საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით გაფორმებითი სამუშაოები იქნა ჩატარებული ქალაქის მთელ ტერიტორიაზე. თანხა მიიმართა ასევე ფეიერვერკების გასროლაზე.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება	192.8
2	წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	351.9
3	ფეიერვერკების გასროლა	6.2
ჯამი		**550.9**

არაფინანსური აქტივების ზრდაზე 303.3 ათასი ლარი დაიხარჯა, რომელიც ქანდაკებების დადგმაზე, წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების კაპიტალურ სამუშაოებზე და ქ. ბათუმში არდაგანის ტბის მიმდებარედ, ქართველი სკულპტორის თამარ კვესიტაძის მიერ შექმნილი ქანდაკების განათებაზე მიიმართა.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	ქანდაკებების დადგმის ხარჯები	237.5
2	წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	47.9
3	არდაგანის ტბის მიმდებარედ, ქართველი სკულპტორის თამარ კვესიტაძის მიერ შექმნილი ქანდაკების განათება	17.9
ჯამი		**303.3**

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,729.0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6,587.9 ათასი ლარი, რაც შესრულდა 87.0%-ით. რომლის ფარგლებშიც შეძენილი და ქალაქის სხვადასხვა უბანში განთავსებული იქნა 95 საბავშვო ატრაქციონი და 420 სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდა ურეხში სასპორტო სკოლის შენობების კაპიტალური რემონტი, ყინულის მოედნის გადატანა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ყინულის მოედნის ელ. მომარაგების სამუშაოები, ყინულის მოედნის დანადგარების შეძენა, ქალაქის სხვადასხვა უბნებში 20 სპორტული მოედნის მშენებლობა, ქალაქში არსებულ სპორტულ მოედნებზე დაიგო 13.9 ათასი კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი, ასევე განხორციელდა საფეხბურთო მოედნის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, მშენებლობის პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი).

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	905.2
2	სასპორტო სკოლის შენობების კაპიტალური რემონტი	203.4
3	ყინულის მოედნის გადატანა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	740.9
4	ყინულის მოედნის ელ. მომარაგების სამუშაოები	298.0
5	ყინულის მოედნის დანადგარების შეძენა	750.0
6	სპორტული მოედნების მშენებლობა	1,258.3
7	ქალაქში არსებულ სპორტულ მოედნებზე ხელოვნური მწვანე საფარის მოწყობა	460.0
8	საფეხბურთო მოედნის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	1,113.1
ჯამი		**5,729.0**

საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროგრამის გეგმა შეადგენდა 2,401.9 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2,392.4 ათასი ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი 99.6%-ია. კერძოდ, საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შეძენაზე მიიმართა 56.0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 2,336.4 ათასი ლარი, საიდანაც განხორციელდა აღმაშენებლის ქ. №17-ში მდებარე №7 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გონიოში არსებული შენობის (საბავშვო ბაღის) სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ინასარიძის ქ. №22ა-ში მდებარე №6 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო-დაშენების სამუშაოები. ასევე, 266ბ კვარტალში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ და ადლიის დასახლებაში საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოები.

№	დასახელება	საკასო შესრულება
1	საბავშვო ბაღების შენობების რეკონსტრუქცია	894.4
2	ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა	1,442.0
ჯამი		**2,336.4**

განათლების, სახელოვნებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 161.6 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა

156.1 ათასი ლარი, ე.ი. გეგმა შესრულდა 96.6%-ით. აღნიშნული თანხა მთლიანად მიიმართა მ. ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის სარემონტო სამუშაოებზე.

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3,485.8 ათასი ლარი, რაც შესრულდა 95.2%-ით (გეგმა – 3,660.9 ათასი ლარი).

კულტურის პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 1,073.7 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,237.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 86.8%.

ორგანიზება გაეწია სხვადასხვა ფესტივალებისა და კონკურსების მოწყობასა და ჩატარებას (ბათუმის VII საავტორო კინო-ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო ცნობილი კინო-რეჟისორები და კრიტიკოსები. გაიმართა ნოვატორული და აქტუალური ფილმების ჩვენება, მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები, გაიმართა შეხვედრები; კლასიკური მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალი ,,ღამის სერენადები''; მოტოციკლეტისტთა (ბაიკერთა) III საერთაშორისო ფესტივალი - პროექტში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის ბაიკერებმა; მარბელას არტ ფესტივალი ბათუმში - ღონისძიების ფარგლებში წარმოჩინდა ორი ქვეყნის კულტურული ტრადიციები, რომლის ფარგლებში, არტ-პავილიონებში, ღია ცის ქვეშ მოეწყო ქართველ და ესპანელ მხატვართა გამოფენა-გაყიდვები, ჩატარდა კონცერტები ქართველი და ესპანელი მუსიკოსების მონაწილეობით; ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის VII საერთაშორისო ფესტივალი - მოეწყო ქართველი და უცხოელი ფოლკლორისტების კონცერტები), წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ქვეყნისთვის და ქალაქისთვის ღირსშესანიშნავი თარიღების საზეიმო აღნიშვნა (საახალწლო-საშობაო ღონისძიებები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დედის დღე და სხვა), ბათუმობის ორგანიზება, ბათუმის ქუჩებისა და მემორიალური დაფების და ბათუმის არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების შესახებ წიგნის გამოცემა, სარეკლამო ფილმი ბათუმზე გადაღება, ლიტერატურული და სილამაზის კონკურსის ჩატარებას, თანხები მიიმართა ნიჭიერი ბათუმელების წახალისებაზე,

ხელოვანთა ხელშეწყობის პროგრამაზე (გამოფენები, ინსტალაციები, თანამედროვე ქალაქი), სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებაზე.

№	დასახელება	ხარჯი
1	ქუჩებისა და მემორიალური დაფების შესახებ წიგნის გამოცემა	29.2
2	არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების შესახებ წიგნის გამოცემა	25.0
3	სარეკლამო ფილმი ბათუმზე	15.0
4	ლიტერატურული კონკურსი	20.0
5	ბათუმობა	250.0
6	მარბელას არტ ფესტივალი ბათუმში	83.0
7	მოტოციკლეტისტთა (ბაიკერთა) III საერთაშორისო ფესტივალი	26.0
8	კლასიკური მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები"	170.0
9	სილამაზის კონკურსი	50.0
10	ბათუმის VII საავტორო ფილმების საერთაშორისო კინო-ფესტივალი	170.0
11	ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის VII საერთაშორისო ფესტივალი	14.0
12	„ბათუმი ჩვენი სიამაყეა" - ქალაქელები მერთან საზეიმო მიღებაზე	
13	საახალწლო-საშობაო ღონისძიებები	131.0
14	ხელოვანთა ხელშეწყობის პროგრამა (გამოფენები, ინსტალაციები, თანამედროვე ქალაქი)	21.1
15	ქალაქისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშნვა	43.8
16	კულტურის სხვადასხვა ღონისძიებები	25.8
	ჯამი	**1,073.7**

სპორტის პროგრამების წლიური გეგმა 312.6 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად გახარჯული იქნა 307.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3%-ია. წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხა ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, კერძოდ თამაშები გაიმართა ბათუმის ადმინისტრაციაში შემავალ უბნებს შორის, ასევე სკოლებს შორის, ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, საპლაჟო ფეხბურთში, წყალბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, უძლიერეს მამაკაცებს შორის, სპორტულ ცეკვებში, ასევე საერთაშორის ტურნირი ჩატარდა ალთაბაევის თასზე კალათბურთში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე, მხარდაჭერა გაეწია რაგბში გამართულ

საერთშორისო ტურნირს, აგრეთვე წლის განმავლობაში თანხები მიიმართა სპორტის მხარდაჭერის და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაზე და ჩატარებაზე.

№	დასახელება	ხარჯი
1	ბათუმის ადმინისტრაციაში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები	26.0
2	საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში	10.1
3	საერთაშორისო ტურნირი საპლაჟო ფეხბურთში	28.0
4	საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში	13.5
5	საპლაჟო ხელბურთში ევროპის ჩემპიონატის მხარდაჭერა	50.0
6	საერთაშორისო ტურნირი ვ. ალთაბაევის თასზე კალათბურთში	23.5
7	საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე	29.7
8	საერთაშორისო ტურნირი უძლიერეს მამაკაცებს შორის	31.7
9	სპორტული თამაშები სკოლებს შორის	18.0
10	საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში	10.5
11	საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში	25.0
12	სპორტის დამსახურებული მოღვაწეთა სახალწლო-საშობაო შეხვედრა	13.9
13	საპლაჟო რაგბში საერთაშორისო ტურნირის მხარდაჭერა	14.9
14	სპორტის სხვადასხვა ღონისძიებები	12.6
ჯამი		**307.2**

ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები დაფინანსდა 359.8 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 366.3 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 98.2%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სტუდენტთა დასაქმება, რომლის ფარგლებშიც დასაქმდა ბათუმში მოქმედი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სოციალურად დაუცველი და წარჩინებული 517 სტუდენტი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქალაქის კეთილმოწყობაში, სტუდენტები ჩართული იყვნენ ბულვარის, სანაპირო ზოლის, ცალკეული უბნების ეზოებისა და სკვერების მოვლასა და დასუფთავებით სამუშაოებში, ანაზღაურებამ თითოეულ მათგანზე შეადგინა 250 ლარი. სამთო ტურიზმისა და ჯანსაღი

ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით ღონისძიება „სამთო ბანაკების“ ფარგლებში ორგანიზებული იქნა ორი ბანაკი: მაღალმთიან აჭარაში - ჩირუხის სამთო ბანაკი და ყაზბეგში სამთო ბანაკი. ჩატარდა ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული, ორგანიზება გაეწია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩამოყალიბებასა და ჩემპიონატების ჩატარებას. ღონისძიება ”წმინდა თევდორე აჭარელის საკვირაო სკოლის” ფარგლებში დედითა და მამით ობოლებს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს (ოთხი და მეტი შვილი), დევნილებს, ეკომიგრანტებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა შვილებსა და ქვრივებს ჩაუტარდათ ლექციები და სემინარები საქართველოს ისტორიაში, ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, საღვთო სჯულსა და მსოფლიო რელიგიების ისტორიაში. ჩატარდა ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის?, თანხები მიიმართა ასევე წლის განმავლობაში ახალგაზრდების მხარდაჭერის და სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებაზე და ჩატარებაზე.

№	დასახელება	ხარჯი
1	მხიარულთა და საზრიანთა თამაშები მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის	16.4
2	საკვირაო სკოლა - სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის	10.0
3	იტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?	9.4
4	ახალგაზრდობის მხარდაჭერის ღონისძიებები	37.7
5	სტუდენტთა დასაქმება	136.7
6	ახალგაზრდული თეატრი	18.5
7	ბათუმის მოსწავლეთა თვითმმართველობების ფორუმი	9.0
8	საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტი"	1.5
9	სამთო ახლგაზრდული ბანაკი	20.0
10	ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული	74.1
11	ბათუმის ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა	8.9
12	ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის კონფერენციის მონაწილეთა საზეიმო ვახშამი	10.9
13	ახალგაზრდობის საქმეთა სხვადასხვა ღონისძიებები	6.5
	ჯამი	**359.8**

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებაზე გათვალიწინებული იყო 1,745.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 100%-ით. წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სპორტის შემდეგი სახეობების დაფინანსება:

№	დასახელება	ხარჯი
1	საფეხბურთო კლუბი "დინამო ბათუმი"	1,125.0
2	ბათუმის ხელბურთის კლუბი	50.0
3	ბათუმის ბათუმის სარაგბო კლუბი	490.0
4	ბათუმის წყალბურთის კლუბი	20.0
5	ბათუმის ბათუმის ფრენბურთის კლუბი	60.0
	ჯამი	**1,745.0**

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯებმა შეადგინა 692.0 ათასი ლარი, რაც გეგმის - 767.4 ათას ლარის 90.2%-ია. კერძოდ განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები:

ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის აქტიური გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამის გეგმა შეადგენდა 121.2 ათასი ლარს, დაფინანსდა 120.3 ათასი ლარით, ე.ი. შესრულდა 99.3%-ით. კერძოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოკვლევა ჩაუტარდა 9303 ბავშვს, ხოლო გამოვლენილ რისკ-ჯგუფებში ფარისებური ჯირკვლის ექოსკოპიური გამოკვლევა ჩაუტარდა 202 ბავშვს, რენტგენოგრაფია - 624 ბავშვს, ცხვირის ნაცხის ანალიზი - 250 ბავშვს, სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი - 600 ბავშვს.

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 129.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 88.3%-ით (გეგმა – 146.1 ათასი ლარი). პროგრამა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას:

- *ბათუმში მცხოვრები ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას* - ქ. ბათუმში მცხოვრები ასთმით დაავადებული ბავშვებისა და ქ. ბათუმში მცხოვრები ბრონქული ასთმით დაავადებული 0-100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ პირებისა და ასაკით პენსიონერებისათვის მედიკამენტების (ფლუტიკაზონ პროპიონატი/სალმეტეროლი, სალბუტამოლი) შეძენა და დროული მიწოდება შეტევების კუპირებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას მიზნით. მედიკამენტი გაიცა 244 ბენეფიციარზე, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 34.0 ათასი ლარი.

- *ქ. ბათუმში ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას* - რომლის ფარგლებში ეპილეფსიით დაავადებული 19 წლამდე მოზარდისა და ეპილეფსიით დაავადებული 0-100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ პირებისა და ასაკით პენსიონერებისათვის განხორციელდა მედიკამენტების შეძენა, პროგრამით ისარგებლა 174 ბენეფიციარმა. გახარჯულმა თანხამ შეადგინა 35.8 ათასი ლარი.

- *მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას* -

0-100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერ მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პირის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და გართულებების პრევენცია მედიკამენტების (მეტფორმინი, გლიკლაზიდი) შეძენითა და დროული მიწოდებით, წლის განმავლობაში ამ პროგრამით ისარგებლა 750 ბენეფიციარმა, გახარჯულმა თანხამ შეადგინა 53.8 ათასი ლარი.

- *პარკისონით დაავადებულ 0-100 00 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას* - პროგრამის ფარგლებში მედიკამენტები მიეწოდა 32 ბენეფიციარს. დაფინანსებამ შეადგინა 5.4 ათასი ლარი.

ონკოლოგიური დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკისა და პრევენციის პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 67.3 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 68.7 ათასი ლარი, შესრულება 98.0%-ია. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარს მიეკუთვნებიან ქ. ბათუმში მცხოვრები 35-60 წლამდე ქალები, რომელიც მოიცავდა საშვილოსნოს ყელის სქრინინგს, კოლპოსკოპური გამოკვლევას, საშვილოსნოს ექოსკოპიას და ონკო მარკერებით გამოკვლევას (საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიები). რომლის ფარგლებში ონკომარკერით კვლევა ჩაუტარდა 324 პაციენტს, საშვილოსნოს ყელის კვლევა - 905 პაციენტს, კოლპოსკოპია და ექოსკოპია - 918 პაციენტს.

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგისა და ამბულატორიული მკურნალობის პროგრამის ხარჯებმა შეადგინა 27.0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 98.9% (გეგმა - 27.3 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში სკრინინგი ჩაუტარდა 1 086 ბავშვს, მენჯ-ბარძაყის სახსრის რენტგენოგრაფია - 196 ბავშვს, დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა, სამკურნალო მასაჟით და ფიზიოთერაპიის 15 დღიანი კურსით, ასევე მედიკამენტებით უზრუნველყოფა ჩაუტარდა 120 ბავშვს.

ფსიქიური პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 77.0 ათას ლარს, ხარჯი შედგენს 59.1 ათას ლარს რაც 76.8%-ია. პროგრამა მიზნად ისახავდა გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციას და მათ ინტეგრაციას სკოლებში და საზოგადოებაში, რომლის ფარგლებშიც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსი გაიარა 42 ბავშვმა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისათვის გათვალისწინებული იყო 150.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 144.4 ათასი ლარით, ანუ ასიგნების 96.3%. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ქ. ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა (საბავშვო ბაღები, კულტურის დაწესებულებების, სასპორტო დაწესებულებების) თანამშრომლებისათვის, რომლებიც ემსახურებიან მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდას, უფასო სამედიცინო დაზღვევას ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ფაქტიურად უფასო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს 1 044 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომელმა.

ქ. ბათუმში მოხუცებულთა კატარაქტის ოპერაციული მკურნალობის უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული იყო 14.2 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 100%-ით. პროგრამის მიზანია ქ. ბათუმში მცხოვრები ასაკით პენსიონერისათვის კატარაქტის ოპერაციული მკურნალობით უზრუნველყოფა.

სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობისათვის გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 127.6 ათას ლარს, ხარჯი შედგენს 103.9 ათას ლარს რაც 81.4%-ია. პროგრამა მიზნად ისახავდა ქ. ბათუმის მერიის „სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის" პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის სტომატო-ლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობის გაწევას, რომლის ფარგლებშიც სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის

დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია) გაეწია 485 ბენეფიციარს.

ქ. ბათუმში მცხოვრებ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული იყო 22.8 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 21.7 ათასი ლარით, ანუ ასიგნების 95.2%. პროგრამის მიზნია ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტების ტრანსპორტირება, ქ. ბათუმში მოქმედი ჰემოდიალიზის ცენტრებში, რომლის ფარგლებში ყოველთვიურად სარგებლობდა 68 ბენეფიციარი.

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული იყო 12.5 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 5.0 ათასი ლარით, ანუ ასიგნების 40%. პროგრამა მიზნად ისახავდა ფელინკეტონურიით დაავადებულ პირთათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას, პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებით, ბენეფიციართა გარკვეული რაოდენობა არ მოიძებნა არსებული სიის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართზე.

სოციალური დაცვის პროგრამებზე 2012 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 7,909.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის – 9,321.7 ათასი ლარის 84.8%-ია. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

სოციალურად დაუცველი ფენისათვის უფასო კვების პროგრამა – პროგრამის ფარგლებში გახარჯული იქნა 1,070.0 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,110.3 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 96.4%. პროგრამით ქ. ბათუმში უმწეოთათვის განკუთვნილი სასადილოები საკვებით უზრუნველყოფს აღნიშნული კონტინგენტის 2050 ბენეფიციარს. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მიენიჭათ 0-57 000-მდე სარეიტინგო ქულა.

I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 27.8 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 22.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 81.7%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. 400 პირის კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) დაფარვა, ასევე ტელეფონის საabონენტო გადასახადზე შეღავათით ისარგებლა 170 შ.შ.მ. პირმა.

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 9.0 ათასი ლარის 81.7%-ია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 20 უპატრონო მიცვალებულის +დაკრძალვა.

ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამაზე გახარჯული იქნა 146.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 179.5 ათასი ლარის 81.8%-ია. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამას:

ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 9 მაისს გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით გადაეცა II მსოფლიო ომის 85 მონაწილეს და ომში დაღუპულთა ოჯახების 18 წევრს 50 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში 23 გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გაცემულია დახმარება თითოეულზე 300 ლარი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახების 52 წევრებზე მატერიალური დახმარების გაცემა თითოეულზე 200 ლარის ოდენობით. ასევე განხორციელდა ვეტერანთა გაერთიანებების სუბსიდირება. ქვეპროგრამის ხარჯი შეადგენს 37.5 ათას ლარს.

ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1500 ვეტერანის კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების

მოსაკრებელი) დაფარვა, ასევე 766 ვეტერანის ტელეფონის საბონენტო გადასახადის დაფარვა, რომლის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 109.3 ათასი ლარი.

უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის პროგრამის ასიგნება 504.5 ათას ლარს შეადგენდა, რაც 100%-ით დაფინანსდა. პროგრამით წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო პირობებით და კვებით უზრუნველყოფა გაეწია 110 ბენეფიციარს, ასევე განხორციელდა შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარების პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 779.8 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი შეადგენს 760.1 ათას ლარს, ანუ გეგმის 97.5%-ს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი 0-70 000-მდე ქულის მქონე, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 2012 წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხორციელდებოდა კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) დაფარვა; 0-100 000-მდე ქულის მქონე, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების დაფინანსება, სასპორტო, სახელოვნებო და სკოლის გარეშე დაწესებულებებში სწავლების დაფინანსება, ასევე 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გარდაცვლილის ოჯახზე (62 ოჯახი) ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 300 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე გეგმით გათვალისწინებული იყო 169.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 152.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 90.1%. პროგრამის ფარგლებში 2012 წელს 254 ოჯახზე მესამე ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით დახმარების სახით გაცემულია 127.0 ათასი ლარი (თითოეულზე 500 ლარი), მეოთხე ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით 24 ოჯახზე - 16.8 ათასი ლარი (თითოეულზე 700 ლარი), 10 ოჯახზე

მეხუთე ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით - 9.0 ათასი ლარი (თითოეულზე 900 ლარი).

მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 184.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 197.0 ათასი ლარის 93.7%-ია. პროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გაეწია 5 და 5-ზე მეტი მრავალშვილიან 81 ოჯახს. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 22 უდედმამო ბავშვს, ხოლო სექტემბრის თვეში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 5 და 5-ზე მეტი 82 მრავალშვილიან და 21 უდედმამო ბავშვს.

პროფესიული სწავლების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 84.7%-ით, (38.1 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში პროფესიული სწავლების კურსი გაიარა ხუთმა ჯგუფმა სულ 123 ბენეფიციარმა, აქედან კომპიუტერისა და ბუღალტერიის კურსებზე - 55 ბენეფიციარმა, მზარეულის პროფესიის კურსებზე - 30 ბენეფიციარმა, სტილისტის კურსებზე - 28 ბენეფიციარმა და მასაჟისტის კურსებზე - 10 ბენეფიციარმა.

საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფაზე მიიმართა 332.5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 436.0 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 76.3%-ით. პროგრამით ისარგებლა 0-70000 ქულის მქონე ბენეფიციარებმა, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა - მგზავრობის 10 თეთრით კომპენსაციით, 580 ვეტერანმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა უფასო მგზავრობით.

გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 174.9 ათასი ლარი, შესრულდა 89.3%-ით (საკასო ხარჯი 156.1 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო I ჯგუფის უსინათლო (შ.შ.მ. 3) ოჯახების და ომის ვეტერანის და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახის გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა 300 ლარით. 0-70000 ქულის მქონე ოჯახების გაზიფიკაციის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის

სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით. საიდანაც გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხა გადაერიცხა 155 ომის ვეტერანის და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახს, 27 I ჯგუფის უსინათლო (შ.შ.მ. პ) ოჯახს და 213 0-70000 ქულის მქონე ოჯახს.

სოციალური სახლის მშენებლობაზე მიიმართა 4,143.2 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 5,288.5 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 78.3%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში, ბაგრატიონისა და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე მშენებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებაზე მიიმართა 47.9 ათასი ლარი, აღნიშნულში კლასიფიცირდებოდა ქ. ბათუმის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოქალაქეებზე გაწეული ერთჯერადი დახმარებები.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 343.5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 352.0 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 97.6%-ით. პროგრამა ითვალისწინებდა 0-100 000 ქულის მქონე 8800 ოჯახის სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფას.

ქალაქის ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე 2012 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 8,424.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის – 8,558.2 ათასი ლარის 98.4%-ია. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

მუნიციპალური საწარმოების განვითარებაზე მიიმართა 8,232.6 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 8,236.7 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 99.9%-ით. საიდანაც შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი" დაფინანსდა 7,472.0 ათასი ლარით, რომლიდანაც სუბსიდიის (საოპერაციო დეფიციტის დაფარვის მიზნით) სახით დაფინანსებამ შეადგინა 3,978.0 ათასი ლარი, ხოლო 3,494.0 ათასი ლარი კაპიტალის ზრდაზე მიიმართა, რომლის ფარგლებშიც შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის" მიერ შეძენილი იქნა 21 ერთეული მუნიციპალური ავტობუსი, მოეწყო 40 მინის და 20 აგურის გაჩერება, 250

გაჩერების დაფა და 20 ელექტრო დაფა; შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” სუბსიდირებაზე (მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით) მიიმართა 212.0 ათასი ლარი; შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" დაფინანსებამ შეადგინა 548.6 ათასი ლარი, რომლიდანაც სუბსიდირება (მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით) შეადგენს 232.1 ათას ლარს, ხოლო 316.5 ათასი ლარით განხორციელდა ორგანიზაციის კაპიტალის ზრდა, რომლის ფარგლებში შეძენილი იქნა 6 ერთეული მიკროავტობუსის ტიპის სასწრაფო დახმარების ავტომანქანა სრული აღჭურვილობით, 3 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა საგანგებო შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის, 3 ერთეული დეფიბრილატორი და 3 ერთეული კარდიოგრაფიის აპარატი.

ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 9.7 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 69.5 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 14%-ით. პროგრამა ითვალისწინებდა ციტრუსის არასტანდარტული და სტანდარტული ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობას. შესრულების დაბალი მაჩვენებელი გაპირობებულია ერთის მხრივ იმ ფაქტით, რომ პროგრამის დაფინანსებისათვის საჭირო თანხის ნაწილი (37.5 ათასი ლარი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოიყო 2012 წლის 31 დეკემბერს. ასევე, დარჩენილი ნაწილის დაფინანსებისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა 2013 წლის იანვრის თვეში.

კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების პროგრამაზე მიიმართა 182.0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 252.0 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 72.2%-ით. პროგრამა მოიცავს ქ. ბათუმში აბონენტების მიერ ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით დასუფთავების მომსახურების საფასურის/მოსაკრებლის გადახდევინების უზრუნველყოფის მომსახურებას.

სესხების მომსახურების ხარჯები შეადგინა 4,049.7 ათას ლარს, რაც ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნების – 4,221.6 ათასი ლარის 95.9%-ია. აქედან:

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 801.7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 801.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.9%. მათ შორის პროცენტების დაფარვაზე მიიმართა 344.8 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვაზე – 456.9 ათასი ლარი.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე მიმართა 2,229.4 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 2,374.9 ათასი ლარი, ე. ი. შესრულდა 93.9%-ით. საიდანაც პროცენტის დაფარვაზე მიმართა 1,786.5 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯებზე - 442.9 ათასი ლარი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 1,045.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 97.5%-ით (საკასო ხარჯი - 1,018.6 ათასი ლარი). საიდანაც პროცენტის დაფარვაზე მიმართა 71.1 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირი თანხის დაფარვაზე – 947.5 ათასი ლარი.

დონორების დაფინანსებული პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები 22,439.8 ათას ლარს შეადგენს, დაგეგმილი იყო 22,581.0 ლარი, ანუ შესრულებამ 99.4% შეადგინა. აქედან:

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებაზე 22,436.3 ათასი ლარი მიიმართა, რაც გეგმის 22,570.0 ათასი ლარის 99.4%-ია. პროექტი სრულდება გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით, რომელიც ხორციელდება 3 ფაზად და ითვალისწინებს ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის სრულ რეაბილიტაციას. დღეისათვის პირველი ფაზა დასრულებულია და მეორე ფაზა დასრულების სტადიაშია.

პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშოები: ძველი ბათუმის წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია; სალიბაურში წყლის სამარაგო 2 ხუთიათას ტონიანი რეზერვუარების მშენებლობა; მეჯინისწყლის წყალსადენის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია; ბარცხანის წყლის საქაჩი სადგურის

მშენებლობა; ჩაქვის წყლის გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია; ბათუმის ა და ბ კანალიზაციის სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია.

პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშოები: ინჯალოს წყლის სამარაგო 2 ხუთიათას ტონიანი რეზერვუარების მშენებლობა; ჩაისუბნის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; დასრულდა ჩაისუბნისა და მეჯინისწყლის წყლის გადამცემი მილმდენების რეაბილიტაცია; მიმდინარეობს ქ. ბათუმის მე-3 და მე-4 ზონის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს შავი ზღვის სანაპირო სოფლების კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს მე-3 ზონაში თვიდენითი და საწნეო მილების რეაბილიტაცია; დასრულდა ქალაქის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდით და ზღვის სიღრმეებში 1100 მ მოშორებით ჩაშვებაზე;

პროექტის მესამე ფაზის ფარგლებში იგეგმება: ჩაქვი-მახინჯაური-მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია გაფართოება; ქ. ბათუმის პირველი ზონის წყალმომარაგება; ქ. ბათუმის პირველი, მესამე და მეოტხე ზონის კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები; იგეგმება ჩაქვის წყლის გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია.

გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის დაფარვა. ასევე, პროექტის დამატებითი თანადაფინანსება.

სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში პროექტის თანადაფინანსებაზე მიიმართა 3.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 11.0 ათასი ლარის 31.8%-ია. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განაპირობა სოციალური საცხოვრისის ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანამ, რის გამოც აღნიშნული სამუშაოების განხორციელება 2013 წლისათვის დაიგეგმა.

სარეზერვო ფონდის დამტკიცებული გეგმა 250,0 ათას ლარს შეადგენდა, 2012 წლის განმავლობაში ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობამ 62.1 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად დაზუსტებული გეგმა 187.9 ათასი ლარით განისაზღვრა.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვაზე 153.5 ათასი ლარი მიიმართა, რაც გეგმის 159.5 ათასი ლარის 96.2%-ია. მათ შორის:

- 0.1 ათასი ლარი, სახელმწიფო ბაჟის - ბათუმის საქალაქო სასამართლოს 19/03/12 წლის №3-450 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;

- 22.7 ათასი ლარი, ქ. ბათუმის მერიის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული წინა პერიოდის საგადასახადო დავალიანებების (მოგების გადასახადის და დამატებული ღირებულების გადასახადის დავალიანების) დაფარვის მიზნით;

- 113.9 ათასი ლარი - უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის №ა-471-შ-21-09 სააღსრულებო ფურცელის აღსრულების მიზნით;

- 6.7 ათასი ლარი - აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს №02/04-14-03203 სააღსრულებო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;

- 10.1 ათასი ლარი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის №3-427/11 სააღსრულებო ფურცელის აღსრულების მიზნით;

<u>განათლების, კულტურის, სპორტის, დასვენების და სხვა დაწესებულებების</u> დაფინანსება შეადგენდა 16,040.4 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 15,557.0 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული თანხის 97.0%-ს შეადგენს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებაზე გათვალისწინებული იყო 4,382.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 4,378.9 ათასი ლარი, რაც დაგეგმილის 99.9%-ია. აღნიშნული მოიცავს ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებას.

კულტურისა და დასვენების დაწესებულებების საკასო ხარჯებმა შეადგინა 4,403.7 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 4,446.6 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული თანხის 99%-ს შეადგენს. მათ შორის:

ა(ა)იპ – ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,242.2 ათას ლარს, რაც ათვისებული იქნა 97.8%-ით, (საკასო – 1,214.3 ათასი ლარი).

ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 591.7 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 599.4 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 98.7%.

ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,022.3 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 1,025.0 ათასი ლარი, შესრულება – 99.7%.

ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის ხარჯები შეადგენდა 1,454.4 ათას ლარს, გეგმა – 1,455.0 ათასი ლარი, ე.ი. შესრულება 99,9%.

ა(ა)იპ – 6 მაისის პარკის საკასო ხარჯებმა შეადგინა 120.9 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 125.0 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 96.7%

სასპორტო დაწესებულებების წლიურმა ხარჯებმა შეადგინა 930.2 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 948.1 ათასი ლარი, რაც აღნიშნული თანხის 98.1%-ს შეადგენს. რაც ა(ა)იპ – ბათუმის ყინულის სასახლის დაფინანსებაზე მიიმართა.

სხვა დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 5,844.1 ათასი ლარი, რაც გეგმის – 6,263.5 ათასი ლარის – 93.3%-ია, აქედან:

ა(ა)იპ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს დაფინანსებამ შეადგინა 1,955.2 ათასი ლარი, გათვალისწინებული იყო 2,250.0 ათასი ლარი, ანუ დაფინანსების ფაქტიური მაჩვენებელი 86.9% შეადგენს.

ა(ა)იპ - ბათუმის სცენის დაზუსტებულმა საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 466.0 ათასი ლარი, გაწეული ხარჯი – 462.7 ათასი ლარია, რაც 99.3%-ია.

ა(ა)იპ - ბათუმის განვითარების ფონდის დაზუსტებულმა საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 2,869.5 ათასი ლარი, რაც 98.5%-ით შესრულდა (გაწეული ხარჯი – 2,827.0 ათასი ლარი).

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსის საკასო ხარჯებმა, შეადგინა 472.8 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 550.0 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 86.0%.

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 128.0 ათასი ლარი, რაც ათვისებულ იქნა 98.8%-ით, (საკასო - 126.4 ათასი ლარი).

<u>სხვადასხვა უწყებებზე და ღონისძიებებზე</u> მიიმართა 119.0 ათასი ლარი რაც დაგეგმილის – 128.4 ათასი ლარის 92.7%-ია. აღნიშნული მუხლი მოიცავს, რეზერვისტთა და წვევამდელების ტრანსპორტირების, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების და საარჩევნო კომისიის შენობის რემონტის თანხებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოებზე დაგეგმილი იყო 59.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 55.9 ათას ლარი ანუ გეგმის 94.7%-ია.

რეზერვისტთა და წვევამდელების ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 38.8 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 86.2%-ით.

საარჩევნო შენობის რემონტისათვის დაგეგმილი იყო შეადგინა 24.4 ათასი ლარი, რაც 100%-ით დაფინანსდა.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

”ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 250.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.13%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლებელი იყო.

2012 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 62,099 ლარი შეადგინა. თანხები მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე:

- ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 10 იანვრის №04 ბრძანებით 5,000 ლარი ქალაქ ბათუმის მერიის გარდაცვლილი თანამშრომლის კახაბერ ქემხაძის ოჯახის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

- ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 20 თებერვლის №45 ბრძანებით 4,000 ლარი ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

- ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 27 მარტის №87 ბრძანებით 2,000 ლარი 2012 წლის 05 მარტს ქ. ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი №114-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის გულვარდი ვანიძის მატერიალური დახმარების გაწევის;

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 06 აპრილის №95 ბრძანებით 6,700 ლარი 2012 წლის 04 აპრილს ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქ. №98-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ბინა №11-ში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქებით დაზარალებული მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 07 მაისის №126 ბრძანებით 6,000 ლარი 2012 წლის 04 აპრილს ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქ. №98-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ბინა №11-ში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქებით დაზარალებული მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 11 მაისის №130 ბრძანებით 2,000 ლარი 2012 წლის 27 აპრილს ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. №25-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის წევრის ირინე პასკოსათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 24 მაისის №145 ბრძანებით 700 ლარი 2012 წლის 26 აპრილს ქ. ბათუმში, შაფათავას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში

მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის გიორგი ბოლქვაძის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 13 ივნისის №164 ბრძანებით 2,000 ლარი 2012 წლის 04 ივნისს ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №19ა. ბ.6-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის ანჟელა მუშლიანის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 01 აგვისტოს №522 ბრძანებით 3,000 ლარი ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის გარდაცვლილი თანამშრომლის გიორგი ლეონიძის ოჯახის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 09 აგვისტოს №625 ბრძანებით 2,000 ლარი 2012 წლის 06 აგვისტოს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის (ოჯახის წევრის ანტონინა კახიძისათვის) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 24 აგვისტოს №796 ბრძანებით 14,199 ლარი ქ. ბათუმში ზუბალაშვილის ქ. №20-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოების დამატებითი სამშენებლო სამუშაოების წარმართვის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 24 აგვისტოს №797 ბრძანებით 1,500 ლარი 2012 წლის 20 აგვისტოს ქ. ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის მაია ჯიმშიაშვილი-ლეჟავას მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 31 აგვისტოს №851 ბრძანებით 11,000 ლარი ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

ქ. ბათუმის მერის 2012 წლის 13 ნოემბრის №1702 ბრძანებით 2,000 ლარი 2012 წლის 01 ნოემბერს ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №71 ბ. №56-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის შოთა მახარაძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქ. ბათუმის მერიის საფინანსო

სამსახურის უფროსი **არჩილ ვანაძე**